საქართ. მშრომ. სოც.-ფედ. რევ. პარტია

წელიწადი მესამე

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 60,000 მან. ნონპარელი
4 „ 30,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 404 კვირა, იანვარი 28 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

დამწუხრებული მშობლები პავლე და მატრონა გოგიაშვილები მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 25 იანვარს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათი საყვარელი შვილი პოეტი

შალვა კარმელი

(გოგიაშვილი)

დასაფლავება მოხდება ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოზე 30 იანვარს.

1—1

(სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირი აცხადებს მწუხარებით, რომ, 25 იანვარს ქუთაისში ტუბერკულიოზით გარდაიცვალა კავშირის და საბჭოს წევრი პოეტი

შალვა კარმელი

გასვენება მოხდება 30 იანვარს ქუთაისში.

№ 283

„ცისფერი ყანწები“-ს ორდენი მწუხარებით აცხადებს რომ 25 იანვარს ქუთაისში ტუბერკულიოზით გარდაიცვალა ორდენის წევრი პოეტი

შალვა კარმელი

განსვენება მოხდება 30 იანვარს ქუთაისში.

№ 284

რუსთაველის თეატრი

კვირას 28 იანვარს

სტუმარ-მასპინძელი

1—1

იმპერიალისტური ზავი

როდესაც საერთაშორისო ომმა იფეთქა და მოწინააღმდეგე იმპერიალისტური ძალები ერთმანეთს დაეჯახენ, ორივე მხარე თავიანთ მოქმედებას ამართლებდა მაღალ საკაცობრიო იდეალებით და მშვიდობიანობისადმი მისწრაფებებით. როგორც გერმანიის კოალიცია, ისე ანტანტის მოკავშირენი უტიფრად იცავდნენ თავიანთ იმპერიალისტურ პროგრამებსა და ხალხის მოსატყუილებლად გამოქონდათ თავდაცვითი ლოზუნგებათ. ამერიკაც საერთაშორისო ომში მშვიდობიანობის მოტივებით ჩაერია: ცნობილმა „პაციფისტმა“ ვუდრო ვილსონმა „დემოკრატიული“ ზავის პირობები წამოაყენა და 14 მუხლიანი ერთა ლიგის პროექტი შესთავაზა კაცობრიობას, მაგრამ ყოველივე ეს იყო გარეგანი შირმა ხალხის მოსატყუილებლად. ფაქტიურად მებრძოლ მხარეებს ფართო იმპერიალისტური პროგრამები ჰქონდათ დასახული მიზნად, მათ სურდათ მოწინააღმდეგე კოალიციის განადგურებაზე აეშენებიათ თავიანთი ბედნიერება. თვით ამერიკაც, რომელმაც ასეთი რიხით გადმოისროლა სამშვიდობო ლოზუნგები, არსებითად უდიდესი იმპერიალისტური მიზნებით იყო გაჟღენთილი. ამერიკის წარმოება და კაპიტალი იმდენად გაიზარდა ომის პერიოდში, რომ იგი ველარ ეტეოდა თავის საზღვრებში და გაორკეცებული ენერგიით დაეძებდა ახალს სამეურნეო ტერიტორიას თავის საქონლის გასასაღებლად. ამ მიზნების განაღდებას ამერიკა „ღია კარების“ პოლიტიკით ცდილობს. მასთანვე ერთა ლიგის მშვიდობიანი სტატიები ამერიკას ხელს არ უშლიდა აშკარა აგრესიული პოლიტიკა წარმოებინა თავისი მეზობელ რესპუბლიკების მიმართ და გარტსა და მექსიკაში თავისი პოლიტიკური ბატონობა დაემყარებინა. ვილსონის ერთა ლიგის პროექტები ამერიკისთვის საშუალება იყო მხოლოდ თავისი იმპერიალისტური მიზნების რეალურ განაღდებისათვის. ამერიკა ყველაზე უფრო მეტ იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს დღეს და მისი პოლიტიკის ობიექტია არა მარტო ამერიკის ქვეყნები. არამედ აზიის აფრიკისა და თვით ევროპის ქვეყნები.

მაგრამ თუ ამერიკა ასეთი გეგმებით გამოვიდა საერთაშორისო სარბიელზე მას არ ჩამორჩა ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოებიც. ეს რვა წელიწადია ეს სახელმწიფონი დრო გამოშვებით ახდენენ იმპერიალისტური ომის ექსპერიმენტებს. ჯერ კიდევ 1918 წელში გამარჯვებულმა გერმანიის კოალიციამ ბრესტლიტოვსკში ნათლად წამოაყენა თავისი იმპერიალისტური პროგრამა და გამანადგურებელი საზავო პირობები მოახვია თავის ახლად წარმოშობილ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას. ამ ზავით გერმანიამ რეალურად გაანაღდა თავისი პროგრამა რუსეთის მიმართ. მაგრამ მასთანვე ყველასათვის ნათელი გაჰხადა მთელი თავისი აგრესიული მიზნები.

გერმენიის კოალიციის დამარცხების შემდეგ მსოფლიოს ბატონ-პატრონობა ანტანტას მოკავშირეებმა იკისრეს და თვით გერმანია გახდა ობიექტი აგრესიული პოლიტიკისა. გამარჯვებულმა ანტანტამ მთელი მსოფლის თავისი გეგმებზე გარდაქმნა მოინდომა რომელიც ვერსალისა და სევრის ხელშეკრულებაში გამოიხატა.

მაგრამ საზავო პირობების მიერ შექმნილმა გარემოებებმა დაამტკიცეს, რომ იმპერიალისტური მეთოდებით შეუძლებელი არის მშვიდობიანობის აღდგენა. ომმა და საერთაშორისო რევოლიუციამ იმდენათ შესცვალა მსოფლიოს რუქა და ისეთი ინტერესთა წინააღმდეგობა დაბადა თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის, რომელთა დაძლევა შეუძლებელია ძველი მეთოდებით და საშუალებებით, კაპიტალისტური მსოფლიო გამოუვალ ჩიხში მოექცა და მას არ აქვს შესაძლებლობა თავისუფალი მოქმედებისათვის. მუთმივი ომები და ანარქია, ეს არის მოუშორებელი სენი თანამედროვე კაპიტალისტური მსოფლიოსი. ეს დებულება ყველაზედ ნათლად დაამტკიცა იმ გამოუვალმა მდგომარეობამ, რომელიც შეიქმნა საზავო ხელშეკრულების ნიადაგზედ ვით ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ომი გათავდა ამ ხუთიოდე წლის წინად ფაქტიურად მთელი მსოფლიო შეიარაღებულ მდგომარეობაში იმყოფება და დაუსრულებელი ომები სწარმოებს მსოფლიოს მნიშვნელოვან ცენტრებში. სევრის ხელშეკრულებამ ვერ მოსპო ოსმალეთის ხალხის თავისუფლება და ვერ ჩამოაგდო ზავი ახლო აღმოსავლეთში. ბერძენ-ოსმალთა ომმა გაართულა აღმოსავლეთის საკითხი. დღეს ლოზანას კონფერენცია ცდილობს გადასინჯოს სევრის პირობები და ახალი მოთხოვნილებებით მიუდგეს ზავის ჩამოგდებას აღმოსავლეთში. მიუხედავად ამისა შეიარაღებული განწყობილება და ომის შესაძლებლობა არ ისპობა. უკანასკნელი ცნობებით საბერძნეთის მთავრობა ენერგიულად ატარებს თავისი ჯარების რეორგანიზაციას და ემზადება ომისათვის, ბერძენთა ჯარების თავის მოყრა ხდება ფრაკიაში, მარიცის დასავლეთ ნაპირზე. ოსმალეთის წრეებში დარწმუნებელი არიან, რომ საბერძნეთის ასეთი სამხედრო მოქმედება გამოწვეული არის ლონდონის კარნახით.

მეორეს მხრით მოსულის ვილაეთის საკითხმა მეტად გაამწვავა ურთიერთობა ოსმალეთსა და ინგლის შორის, მოსულში აჯანყებები ვითარდება, მეორეს მხრით—ოსმალეთის არმია 70 მილზე იმყოფება ირაკის სამეფოს სატახტო ქალაქიდან და ინგლისის მთავრობა იძულებული ხდება თავდაცვაზე იფიქროს. ამ გვარად მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში კვლავ მწვავე ხასიათს ღებულობს და შესაძლებელია ახალი სახით გადმოხეთქოს დაუსრულებელმა შეტაკებებმა.

თვით ევროპა ვერსალის საზავო პირობების წყალობით გამოუვალ წრეში არის მოქცეული. გერმანიის კულტურული ერი ამ საზავო პირობებმა უკიდურეს შევიწროებამდე მიიყვანა. სარეპარაციო გადასახადები რომლის საბოლოო რიცხვი 130 მილიარდს შეადგენს, მძიმე ლოდათ დააწვა გერმანიის მეურნეობას. მაგრამ მარტო ამით არ დაკმაყოფილდნენ მოკავშირენი და მთელი რიგი სამეურნეო ტერიტორიებისა ხელიდან გამოაცალეს გერმანიას. ელზას-ლორენი, საარის ოლქი და ზემო სილეზია სამრეწველო ცენტრებს წარმოადგენდა გერმანიის მეურნეობისათვის. ყველა ეს რაიონები ვერსალის საზავო ხელშეკრულების ძალით ჩამოართვეს მას. გერმანიის სახელმწიფო ყოველის მხრით შებორკეს და მას არ აქვს თავისუფალი გასაქანი. დღეს საფრანგეთი ახალი ოპერაციებით გაუმასპინძლდა გერმანიას და რურის ოლქის მთელი სამრეწველო ცენტრი ჩამოაცალა. ეს ოლქი დაახლოებით 70 პროც. ნახშირს აძლევდა გერმანიის წარმოებას. ჩამორთმევა ამ ოლქის, ფაქტიურად უდრის გერმანიის წარმოების დაშლასა და ეკონომიურს სიკვდილს. რამ აიძულა საფრანგეთი ასეთი ნაბიჯი გადაედგა? მიუხედავად ვერსალის პირობების სისასტიკისა, გერმანიის ერმა ამ გარემოებაშიაც შესძლო წარმატებისაკენ სვლა. საფრანგეთს ყველაზე უფრო გაძლიერებული გერმანეთის ეშინია; რევანშის აჩრდილი მას არ ასვენებს. ამიტომ ის ყოველი ძალ-ღონით სცდილობს შეხუთოს გერმანია და დაშალოს მისი არსებობის საფუძვლები. საფრანგეთს სარეპარაციო გადასახადიდან 52 პროც. ეკუთვნუს. ცხადია ეკონომიურად დაუძლურებული გერმანია ვერ შესძლებს ასეთი დიდი გადასახადის თავის დროზე მოგროვებას. მაგრამ საფრანგეთის პოლიტიკოსათვის მეტრო საინტერესოა გერმანიის მრეწველობის დაშლა, ვინემ სარეპარაციო გადასახადებზე ზრუნვა. ამ პოლიტიკის ძირითად გასაღებს გვაძლევს პარიზის გაზეთი „ლიბერტე“, რომელიც გულახდილად გვიხსნის იმ მოტივებს, თუ რამ აიძულა საფრანგეთი რურის ოკუპაციას. „ბოლოს და ბოლოს,—სწერს გაზეთი,—რა უბედურება იქნება, თუ მოხდება გერმანიის დეზორგანიზაცია. 1913 წლის ორგანიზაციულად მოწესრიგებული გერმანია ჩვენთვის უფრო საშიშოა ვინემ დეზორგანიზაცია ქმნილი გერმანეთი 1923 წ. განადგურება და უძლურება გერმანიისა ჩვენთვის თანაბარ ღირებულია მილიონი თანხების, რადგან ისინი გვიფარავენ ჩვენ ჩვენი მუდმივი მტერისაგან“. ამ სიტყვებში გამოთქმულია მთელი კვიტესენცია საფრანგეთის იმპერიალისტური პოლიტიკისა.

ვერსალის საზავო ხელშეკრულების ავაზაკურმა პირობებმა ძირითადი წინააღმდეგობანი შეჰქმნა მთელს მსოფლიოში და ახალი ომებით ემუქრება კაცობრიობას. ყოველი ნაბიჯი საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტებისა ახალი საერთაშორისო ომით გვემუქრება. გერმანეთის დღევანდელი ამბები და ის პოლიტიკა, რომელსაც დაადგა საფრანგეთის იმპერიალისტები გერმანიის მიმართ, დასაწყისია ახალი იმპერალისტურ ომებისა და კონფლიქტების.

რურის ამბებს ამშვენებს მემელის ექსცესები, სადაც ახალ ინტრიგებს აქვს ადგილი იმპერიალისტურ საფრანგეთისათვის. გართულებულ არის აგრეთვე დამოკიდებულება ჰუნგრეთსა და რუმინეთს შორის.

ყოველივე ეს ფაქტები ნათელს ფენენ იმ მოსაზრებას, რომ იმპერიალისტური მეთოდით შეუძლებელი არის ნამდვილი ზავის ჩამოგდება, რომ კაცობრიობას არ აქვს საშუალება კაპიტალისტური გზით იხსნას თავი ახალი ომებისაგან და საშინელ განადგურებისაგან.

1914 წელს საერთაშორისო ომმა ძირიანად შეარყია მთელი მსოფლიო და ახალი შესაძლებლობის წინაშე დააყენა იგი. ომმა მოგვცა რუსეთის დიდი რევოლიუცია და მთელი რიგი ასეთივე ქვეყნებისა რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩაება. 1914 წელში იმპერიალისტურ ომს სრულიად მოუმზადებელი შეხვდა საერთაშორისო პროლეტარიატი. დღეს რეალური ძალა მთელს მსოფლიოში რერევოლიუციონური პროლეტარიატისა გაცილებით მეტი არის, ვინემ ეს იყო ომის დასაწყისში. საბჭოთა რესპუბლიკები და კომინტერნი არიან ის რეალური ძალები, რომელნიც ხელმძღვანელობენ საერთაშორისო რევოლიუციის მსვლელობას.

ის ანარქია, რომელიც შექმნილი არის კაპიტალისტების მსოფლიოში ნათლად ამტკიცებს იმას, რომ იმპერიალისტური ზავის დამყარება შეუძლებელია და ამ მსოფლიომ ადგილი უნდა დაუთმოს ახალ კაცობრიობას. კრიზისი კაპიტალისტური კულტურისა მრავალ მხრივია. იგი განიცდის სასიკვდილო აგონიას და უძლურია თავისი მეთოდებით თავი დააღწიოს შექმნილ წინააღმდეგობას. ასეთს პირობებში საერთაშორისო რევოლიუციის მთავარი შტაბის, კომინტერნის მოვალეობა მოქნილის ტაქტიკით წინ გაუძღვეს დარაზმულ პროლეტარიატს და ააშოროს მსოფლიოს ახალი საერთაშორისო ომები.

კაპიტალისტურმა მსოფლიომ ვერ მისცა ზავი კაცობრიობას, იგი ვერასოდეს ვერ დაამყარებს მშვიდობიანობას და ქვეყნიერება დაუსრულებელ ომებისა და წინააღმდეგობათა წრეში იქნება მოქცეული.

მსოფლიოს ხსნა სოციალურ რევოლიუციის საშუალებით არის მხოლოდ შესაძლებელი. თვით კაპიტალისტური მეურნეობის საფუძვლების მოსპობა იძლევა მხოლოდ უტყუარს გარანტიას მშვიდობიანობისა და ერთა შორის სოლიდარული ურთიერთობის დასამყარებლად.

Sanus

ცნობები სპარსეთის პოლიტიკურ ამბების შესახებ

(„როსტა“-ს საკუთარ კორესპოდენტისაგან)

საერთო პოლიტიკური მდგომარეობა.

ბრძოლა საბჭოთა რუსეთის მომხრე ნაციონალ-დემოკრატებს და რეაქციონურ-ანგლოფილურ მმართველ ფეოდალების ხროვას შორის გრძელდება და ამავე დროს ეს ბრძოლა უკანასკნელ დროს ღებულობს არა თუ ძლიერს, არამედ უფრო გეგმა შეწონილ და ორგანიზაციულ ხასიათს. ორთავე მხარეს კარგად ესმის, რომ მეჯლისის არჩევნების კამპანიის შედეგებით, რომელიც ორი თვის შემდეგ უნდა დაიწყოს, ისარგებლებენ ისინი, რომლებსაც ამ დროს ხელში ექნებათ პოლიტიკური ხელისუფლების საჭე. რამდენად ამაზეა დამოკიდებული საარჩევნო კამპანიის ჩატარება და არჩევნების შედეგები იმდენად ნაციონალ-დემოკრატების ბლოკი ყოველ ძალ-ღონეს ხმარობს იმისათვის, რათა ეხლავე დასცეს კავამა—ეს—სალთანეს რეაქციონურ-ანგლოფილური კაბინეტი ამა წლის ოქტომბერში ნაციონალ-დემოკრატების მიერ წარმოებულ მთავრობის საწინააღმდეგო კამპანიის უშედეგობა საბოლოოდ ნიშნავდა თავის შემადგენლობით კიდევ უფრო რეაქციონურ მეჯლისის წარმოშობას. პირიქით, კავამას კაბინეტის დაცემა გაცილებით უფრო განამტკიცებდა ნაციონალ-დემოკრატების მდგომარეობას და შესაძლებლად გახდიდა ხელისუფლების სათავეში ნაციონალურად დამოუკიდებელ დემოკრატიულ და პროგრესიულ მთავრობის წარმოშობას. აქედან ცხადია, თუ რეაქციონერები ინგლისის აგენტებთან ერთად რატომ ცდილობენ იმისათვის, რომ არ დაეცეს კავამას კაბინეტი, პირველნი ხედავენ სამაში თავიანთ პოლიტიკურ გავლენი დასასრულს, ხოლო მეორენი—სპარსეთში თავიანთი გავლენის დასასრულს.

სამხედრო და სასახლის პარტიების წარმომადგენლები რეზა-ხანი და შახი პირველი შეხედვით, თითქოს შორს სდგანან პოლიტიკური ბრძოლისაგან, მაგრამ მისი შედეგი ძლიერ დამოკიდებულია მათი პოზიციისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მეჯლისის საწინააღმდეგო ბრძოლისაგან (ა. წ. ოქტომბერში) რეზახანი გამოვიდა საკმაოდ დაცემულ ავტორიტეტით, ის უმთავრესად ინგლისის ორიენტაციის ყალბი ნაციონალიზმით, კიდევ საკმაო ავტორიტეტით სარგებ

ლობს საზოგადოებაში და თავის დროზე შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს მიმდინარე ამბებზე.

რაც შეეხება, შახს, ეს უსიტყვო საცოდავი თავის ბრწყინვალე პოლიტიკურ არარაობაში პოლიტიკური ბალღი, რომელსაც დღემდი ახასიათებს მხოლოდ სიმხდალე რევოლიუციის წინაშე და შიში, რათა, არ გამოსტაცონ ხელიდან თავის მაღალი წოდება—რასაკვირველია მიემხრობა იმ პოლიტიკურ ბანაკს, რომელიც უკანასკნელ დროს აღმოჩდება უფრო ძლიერი ხოლო მორალური თვალსაზრისით უმნიშვნელო არ არის თუ ვის მხარეზე იქნება შახის სიმპატია და სწორედ უკანასკნელის გადაბირებას ცდილობს როგორც ერთი ისე მეორე მხარე, რათა გამოიყენონ მისი ფორმალური უფლება ახალი პრემიერის არჩევისათვის, რადგან ყველა გრძნობს კავამის მთავრობის აღსასრულის მოახლოვებას.

უცხოეთი

ფაშისტები

მოსკოვი 27 იანვარი. სპეციაში მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებანი ფაშისტებს და კომუნისტებს შორის. მოკლულია 4 კაცი, დაჭრილია რამოდენიმე.

ფულის კურსი

მოსკოვი. ლონდონის ბირჟაზე საფრანგეთის ფრანკის" კურსი რამდენიმედ დაეცა, ბელგიის ფრანკის და იტალიური ლირის კურსი ცოტათი აიწია. გერმანიის მარკის კურს შემდეგი რყევა არ ემჩნევა.

იაპონიაში

მოსკოვი 27 იანვარი. იაპონიის მუშების დელეგაცია და იაპონიის კომპარტიის წარმომადგენლები მიესალმენ მოხალისე ფლოტის მეზღვაურთა კომანდას. ფლოტი გაგზავნილი იყო იაპონიაში ციმბირის ნავთსადგურ—კორეში გემის მისალებად, თავის სიტყვებში იაპონელმა ამხანაგებმა განაცხადეს, რომ იაპონიის მუშები იბრძვიან მსოფლიო პროლეტარიატთან ერთად მშრომელი კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის.

დელეგაციამ რუსეთის მეზღვაურებს მიმართა დროშა სათანადო წარწერით და სთხოვა გადასცენ ვლადივასტოკის პროლეტარიატს ძმური სალამი.

იაპონიის ჟანდარმერიას უნდოდა ხელი შეეშალა შეხვედრისათვის მაგრამ დაიგვიანა და მოვიდა მხოლოდ ზეიმის შემდეგ.

რურის ოლქის ოკუპაცია

ფრანგების მოქმედება რურის ოლქში

მოსკოვი 27 იანვარი. ემყარება რა გერმანიის მიერ ნახშირის მოწოდების შეუსრულებლობაზე, საფრანგეთი ფიქრობს მოსწყვიტოს რური დანარჩენ გერმანიას და გადაასახლოს რურის საზღვრებიდან გერმანიის ყველა მოხელეები. ხდება საფრანგეთის ჯარების გადაჯგუფება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საფრანგეთის კონტროლი დაკავებულ ოლქის ყველა გზებზე.

ინგლისი და რურის კონფლიქტი

მოსკოვი 27 იანვარი. ოფიციალურ გერმანიის წყაროებიდან მიღებულ ცნობებით ლონდონში იტალიის წრეების ცდა, რათა გამოეწვიათ ინგლისის ჩარევა რურის კონფლიქტში, დამთავრდა უშედეგოდ.

ბერლინში აღნიშნავენ რომ ინგლისი როგორც სჩანს საჭიროდ არ სთვლის ეხლა ჩარევას, ფიქრობს რა, რომ ის გამოვა მაშინ, როდესაც ოკუპაცია მიგვიყვანს სრულ ეკონომიურ არევდარევამდე.

ამერიკა და რურის კონფლიქტი

მოსკოვი. 27 იანვარი. სენატორ ბორის მიერ შეტანილ შეკითხვის საპასუხოდ რურის კონფლიქტში ამერიკის ჩაურევლობის მიზეზების შესახებ, ამერიკის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უკანასკნელს არ შეუძლია რაიმე ნაბიჯი გადასდგას იმ მიზეზით, რომ ვაშინგტონის თვითეული წინადადება მაშინვე წააწყდება ევროპის სახელმწიფოების მოთხოვნილებას ევროპის ვალების გაუქმების შესახებ რომელიც უნდა მიიღოს ამერიკამ. ამიტომ, ამერიკამ ოფიციალურად უნდა შეინარჩუნოს „კეთილმსურველი მეთვალყურის" პოზიცია.

რკინის გზელები

მოსკოვი 27 იანვარი. რურის ოლქიდან იტყობინებიან, რომ რკინისგზელები იმუქრებიან გაფიცვით იმ შემთხვევაში თუ კვლავ მოხდა საფრანგეთის ჯარების ახალი გადაჯგუფება და დაწესებულ იქნა საბაჟო ხაზი დანარჩენ გერმანიისაგან რურის ოლქის მოწყვეტის მიზნით.

ახალი ამბები

— **მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება.** საქართველოს პროფკავშირების საბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებამ თავის კრებაზე 17 იანვარს ა. წ. დაადგინა: ვინაიდან მუშათა ბავშვებისათვის აკვნები, საქართველოს რესპუბლიკაში საკმაოდ არ არის გაკეთებული და ძლიერ აფერხებს დედათა და ბავშვთა მდგომარეობის საქმის გაუმჯობესებას, ზოგიერთ რაიონებში კი უსახსრობის გამო ეს ფრიად საჭირო საქმე სრულიადაც ვერ არის მოწყობილი, ამიტომ შუამდგომლობა უნდა აღიძრას სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის წინაშე, რაც შეიძლება საჩქაროდ წარმოადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა, რათა დედათა და ბავშვთა თავდაცვის საორგანიზაციო საქმე სათანადო წარმატებით წავიდეს წინ. კრებაზე დამსწრე ამხანაგებმა ელბაქიანმა და ვაწაძემ აღნიშნეს, რომ ამის საჭიროებისათვის მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებლად პროფკავშირთა საბჭომ აქტიური მუშაობა უნდა გამოიჩინოსო.

პარტიაში

კვირას 28 დეკემბერს „ტრიბუნის" რედაქციაში 12 საათზე დანიშნულია ახალგაზრდათა კავშირის გამგეობის სხდომა. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

მუშათა ცხოვრება

მივხედოთ და ვიზრუნოთ მშიერ ამხანაგებისათვის

ამხანაგებო! ვგონებ ყოველმა თქვენთაგანმა უწყის, რომ გასული კვირა დღეს 21 იანვარს „მილიციის დღე" იყო რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. შ. გეგეჭკორი. ამ დღეს მთელი თეატრები, საკონცერტო დარბაზები და ყველა აუდიტორიები დაკავებული იყო „მილიციის დღის" მიზნის ჩატარებისათვის. რამდენადაც ვიცით, ეს დღე „ბრწყინვალედ ჩატარდა და შედეგებიც შემოსავლის მხრივ დამაკმაყოფილებელია.

ჩვენ არ ვიცით პირდაპირი დანიშნულება ამ საქველმოქმედოთ მოწყობილ დღის შემოსავლისა—მოხმარდება გაჭირვებულ მილიციონერების მატერიალურ საჭიროებას, კულტურულს, თუ სხვა რამეს, მაგრამ ის კი დღესავით ნათელია, რომ 21 იანვრის მსგავსი საქველმოქმედო დღეების მოწყობა მიზანშეწონილია და აუცილებლად დასაშვები მაშინ, როდესაც ესა თუ ის საზოგადოება ან დაწესებულება დახმარებას და შველას საჭიროებს.

ამ წერილში მუშა-ამხანაგების ყურადღება გვსურს მივაპყროთ იმ უმუშევარ ამხანაგების გაჭირვებულ მდგომარეობაზე, რომელნიც გამომდინარეობენ შრომის ბირჟაში.

მუშათა სოციალურ უზრუნველყოფის შემდეგ, ერთი მთავარი და პირველი საზრუნავი საქმე არის უმუშევარ მუშების უზრუნველყოფა.

უმუშევრობა ყოველს ჩვენთაგანს გამოუცდია

აბა ცოტა ხანს ანგარიში გაუწიოთ თვით ჩვენს მდგომარეობას, რომელნიც ვმუშაობთ და თუ დავასკვნით, რომ დღევანდელი ჩვენი შრომის ხელფასი საცხოვრებელ მინიმუმის, ნახევარსაც არ უდრის და ამის გამო გაჭირვებას განვიცდით—მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება იმ მუშების მატერიალური მდგომარეობა, რომელნიც უმუშევრად იმყოფებიან.

მართალია შრომის ბირჟა უმუშევრებს აძლევს სისტემატიურად პატარა-პატარა დახმარებას, მაგრამ ეს დახმარება წვეთია ზღვაში და ამავე დროს ისეთი უმნიშვნელოა, რომ მისი რაოდენობა დღევანდელ აფთარ სპეკულიაციისათვის მხოლოდ სასაცილო ხდება.

აქედან ცხადია, თუ რა ჯოჯოხეთურ ცხოვრების პირობებს უნდა განიცდიდნენ უმუშევარი მუშები და ამიტომაც არის, რომ მათი ზრუნვა ჩვენთვის პირველი საფიქრებელი საქმე არის და უნდა იყოს ყოველთვის.

ჩვენ ვიცით ისეთი მუშები, რომელნიც რამოდენიმე თვეებით განიცდიან უმუშევრობას და ამავე დროს არიან ცოლ-შვილის პატრონები. და თუ ეს ასეა, საკითხავია, თუ როგორა სცხოვრობენ ეს უმუშევრები მაშინ, როდესაც ბაზარზე სამი გირვანქა ყველი თითქმის ნახევარ მილიონს ფასობს.

სამწუხაროა, მაგრამ მწარე სინამდვილეა ის, რომ გაჭირვების გამო უმუშევარი მუშები ხშირად იძულებითი საშუალებებს მიმართავენ ხოლმე—წვრილი სპეკულიაცია, ხაზეინების მიერ დამონება, ფარულად შეკვეთების ნახევარ ფასში აღება და მრავალი სხვა შემთხვევები, ყველაფერი ეს უმუშევრობის ზეგავლენით ხდება.

ხშირი ავადმყოფობის და თვითმკვლელობის მთავარი ფაქტორი—ეს უმუშევრობაა.

როგორცა ვხედავთ, ერთი დიდი მტერი მუშა ხალხისა, უმუშევრობა ყოფილა.

თანახმად პროფკავშირთა საბჭოს და შრომის დაცვის ორგანოების დადგ. ამიერიდან ჩვენში ზედმეტი მუშაობა აკრძალულია და ამავე დროს შემოღებული უნდა იქნეს ორი პროცენტის გადახდა უმუშევართა სასარგებლოდ—ცხადია, რომ დაბრკოლებათა გადასალახავად ერთი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

მაგრამ მარტო ასეთი ნაბიჯები ვერ გამოასწორებს სავსებით უმუშევართა უნუგეშო მდგომარეობას, საჭიროა სხვა რეალური ნაბიჯები და ზომებიც.

საჭიროა შეიქმნეს ძლიერი ფონდი ამ მიზნისთვის.

რა თქმა უნდა, კარგი საქმეა კულტურულ მიზნისთვის სალამოების მოწყობა, მაგრამ ჩვენს [illegible] „უმუშევართა დღის" მოწყობა პირველ რიგში უნდა იდგეს.

ჩვენი პირველი საზრუნავი უნდა იყოს ის, რომ აფთარ სიმშილს გამოვგლიჯოთ პირიდან ცოცხალი ძალა და ფიზიკურ დაღუპვას გადავარჩინოთ მუშა ამხანაგები.

„მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო"—და ჩვენც ასე არ დაგვემართოს.

მართალია წელიწადში ერთხელ ვმართავთ ხოლმე უმუშევართა სასარგებლოდ საქველმოქმედო დღეებს, მაგრამ იგი ძალიან მკრთალად ტარდება ხოლმე.

უმუშევართა მატერიალური მდგომარეობა კი იმდენად დიდი და სერიოზულია, რომ მათი დახმარების საქმე მოწყობილ უნდა იქნეს რესპუბლიკის მასშტაბით.

ყველას უნდა მივაღებინოთ ამ საქმეში მონაწილეობა—განურჩევლად კლასისა.

და ამით უნდა გავამხნეოთ და ვანუგეშოთ დაღონებული უმუშევარი მუშა-ამხანაგები.

ამით ჩვენ შევასრულებთ ჩვენს მუშურ და სოციალისტურ მოვალეობას.

საჭირო იქნება მობილიზაცია ყველა იმ ძალების, რომლების გამოყენებაც კი საჭირო იქნება ამ სისარგებლო საქმისათვის.

საჭიროა ინიციატივა.

და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პროფკავშირთა საბჭოს საქმეა.

მაშასადამე „უმუშევართა დღის" მოწყობის საკითხი პირველ რიგში დგას.

ჩვენც ველით ამ დღეს.

მუშა დ. მელი.

მიწა-ტყის კავშირში. მიწა-ტყის კავშირის პრეზიდიუმმა 27-ს თავის სხდომაზე დაადგინა' აფხაზეთის მიწა-ტყის კავშირის მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დასაცავად ძველი კოლექტიურ ხელშეკრულობის დადებული ჯამაგირები გადადებულ იქნას, თანახმად პროფ. კავშირის საბჭოს დადგენილებისა, რომელმაც გამოიმუშავა საამისოდ სატყეომიწის კავშირის დებულებანი.

— მიწა-ტყის კავშირმა კარდანახის სახელმწ. მამულის გამგეს აცნობა, რომ მთელი თანხიდან, რომელიც ყოველთვიურად იხარჯება მამულის მუშა-მოსამსახურეებზე 12 პროც. შეტანილ უნდა იქმნას ადგილობრივ დამზღვევ კასაში ყოველთვიურად, რის შემდეგ სრული უფლება მიეცემათ მუშა-მოსამსახურეებს ისარგებლონ უფასო ექიმობით და აგრეთვე დაზღვევით, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ხარჯი გაწეული მუშა-მოსამსახურეების მიერ ექიმობაზე უნდა აუნაზღაუროს მათ მამულმა, რაც არასასურველია როგორც მოსამსახუ-

სატირიკონი

ქალაქის სალაროსთან

(სცენა)

მოქმედნი:

დარაჯი . . . რუსი
პეტრე . . . იმერელი, რესტორანის პატრონი,
მიკირტიჩ . . . მეწვანილე
ელო . . . მეფართლე ურია
1-ლი კინტო
2-რე კინტო } მეტაჩკე
იმერელი—თავადი.

პეტრე. აფხანიკო! შეიძლება, შემოვიდე?

დარაჯი. Что там говоришь, зокон!

პეტრე. (მსახურს) რა თქვა, ბოშო?

ბიჭი. რას ამბობო, შემოდიო.

(შემოდიან და შემოაქვთ ტომრით ფული)

დარაჯი. Что? налог принесли?

პეტრე. რაო ბოშო?

ბიჭი. ნალოგი მოიტანეთო?

პეტრე. კი თქვა, ბიჭო! ვის ჩავაბარო თქვა. აი გიდი, რომ რუსული არ ვიცი, თვარა სულ ჯორის ტლინკებივით დაკაყრიდი ჩემ გაჭირვებას. ამამართვა პირდაპირ ამ ნალოგებმა სული. ყოველ მინუტში ნალოგი ვის გაუგონია, შენი ჭირიმე: ეს წყლის ნალოგიო, ეს ძროხის ნალოგიო, ეს ღვინის, ეს სახლის, ძაღლის და ყოველი ჯანდაბის. იმე! უთხარი, ბოშო. რას დაგილია ხახა... შე ოჯახ ქორო, საყურებლად წამოგიყვანე? რამეში დამეხმარება მეთქი.

ბიჭი. კოგდა, ნალოგ პრინიმაიტ გავარიტ, ზოგ რასერდილსია გავარიტ, შტო რუსკი ნე ზნაი, ა ტო კაკ ნაგა კატერ ზრიასილ გავარიტ ნა ტვოი გალავა შოი ზუმა...

დარაჯი. Что, что городишь! станьте в очередь, через час будут принимать деньги.

პეტრე. რაო, ბიჭო! ოჩოროდი კი არა რესტორანი გვაქვს თქვა. რეიზა არ დეიქცა ის დღე, მე რომ მიკიტანი გავხდი.

ბიჭი. ოჩერედში დადექითო და ერთი საათის შემდეგ მიიღებენო ნალოგს.

პეტრე. იმე! ნალოგი ჩემი ფეხით მამიტანია და კიდევ მე დავდგე ვეჩერედში ბოშო? რა მაქ სახვეწარი. სულაც არ შევიტან თუ არ მიიღებენ იმაზე დამიდგა დარდები. ჯერ პრავიზია არ გვიყიდია, ბიჭო, დაგვაგვეიანდება თქვა. ხვალ შევიტანთ თქვა. რას პრაწავ თვალებს, შე ოჯახ ქორო, უთხარი.

ბიჭი. ნა რესტორან პროვიზი ნე კუპაიტ გავარიტ.

პეტრე. შე მუდრეგო! კუპატი კი არა პრავიზია თქვა.

ბიჭი. ჰო! იმას ვეუბნები. მაცალე ბატონო. ზავტრა მოენა ნალოგ პრინესილ.

დარაჯი. Сегодия, последний срок. Завтра заплотите больше.

პეტრე. რაო? ბორში კი არა, 'კატლეტი არ უნდა? რაო ბოშო? ქრთამს თხოულობს?

ბიჭი. ხვალ მოუმატებენო ნალოგს.

პეტრე. შენ არ მომიკვტე, კაი ამბავი კია.

მიკირტიჩ. მოენა?

დარაჯი. Заходи.

მიკირტიჩ. ზდეს ბუდიტ ნალოგ.

(პეტრე საჩქაროთ დაიჭერს რიგს)

დარაჯი! Да, да! стань в очередь.

მიკირტიჩ. ვა! ვა! გინახამს! ნალოგი ჩემი ფეხით მოიტანოს და კიდევ ოჩერეზი დადგე. ვა! რა დრო წავგვიდა. თუ ნალოგი წინეთ დაწერამ. ათი ჩინოვნიკი მოგადგებოდა მამეცი, მამეციო. ოჩერეზში ისინი იდგნენ და თუ მიცემდი ცხვირს იმტვრემდნენ. ეხლა შენ თითონ მოიტანე ოჩერეზი დადექ, არ მაიტანე. მაგიმატებეს ან დუქან დაგიკეტამენ. ი დღე რად არ დაიქცა ბაყალი, რო გავხდამს. ხათაბილა მა რა: წიწაკა და ბოლოკი წელიწადში ერთხელ ამოვიდეს, ნალოგი თვეში სამჯერ მოვიდეს. მოდი და გაუძელ.

პეტრე. რას იზამ, ჩემო კარგო! თუ არ გაუძელ უარესია.

მიკირტიჩ. ვა! გამარჯობა შენი. შენც ოჩერეზი ხარ?

პეტრე. კი, შენ ნუ მამიკვტები, გახლავართ ვეჩერედში.

მიკირტიჩ. მეც დავდგები რალა—დღეს უკანასკნელი სროკიაო, ამბობენ.

პეტრე. აჰა, იმიტომ დავდექი, თვარა სად მცალია, შენი ჭირიმე. პროვიზიაც არ მიყიდია, დევილუპე კაკალი კაცი.

ელო. აქანეა ნალოგოვი კასა?

დარაჯი. Здесь здесь! заходи.

ელო. დილა მშვიდობისა? გასპადინ.

დარაჯი. Господ нет тут стань в очередь.

ელო. (დგება რიგში) შემცდა, ვადაი! გავჩუმდე ჯობია, ჩემმა სიყმემ, თორემა... ოჩერედში ხართ თქვენე?

პეტრე და მიკირტ. დიახ!

ელო. ჩემი საქმე მაშინ დაბათლდა, როცა ქუთაისი მივატოვე რჯულის მადლმა. რა მინდოდა ამ დალუპულ ტფილისში. მოშეს ამოაგდებს ღმერთი—იმან შემაცდინა, ბეხანია, კი ვიყავი ჩემთვის და ქათმებს ვაჭრობდი, ის ცრო ჯობდა სიყმემა.

მეგრელი. თაქინე არის პატენი ნალოგის კასა?

დარაჯი. да, да! здесь.

ელო. აქანეა ვადაი, მარა ვეჩერედში უნდა დადგე!!!

მეგრელი. ჰოუ! დევლუპე კაცი.—ოჩერედი ბრელ ხანს გაგძელდება.

მიკირტიჩ. რას იზამ, აფხანავო. მეტი საშველი არ არის.

პეტრე. აფხანიკო! შენ მეგრელი ხარ არა?

მეგრელი. ქო, პატენი.

ელო. რას ვაჭრობ შენე?

მეგრელი. დუქანი მაქ ბაზარში და ხანდიხან სურსათი დამაქვს სოფლიდან.

(შემოდის ორი კინტო).

1 კინტო. გასპადინ, მოენა.

დარაჯი. Но, ну! тут все товарищи.

1 კინტო. ვაა, ტავარიშჩიო! ერთი ტაჩკა მაქვს, ე რუსი თუ აფხანიკი გამიხდა ცოლშვილს რაღა ვაჭამო.

2 კინტო. რა დროს ეგ არი, ჰკითხე, ვის მივცეთ—თქო ნალოგი.

1 კინტო. გასპად... ტავარიშჩ. უ მენია ადინ ტაჩკა ესტ ი ადინ იშაკ. ი უ კარაპეტ ადინ იშაკ. გრაჟდანცკი ნალოგ ნა ადინიშაკ ადინ მილიონ.

დარაჯი. Ну, станьте в очередь.

ტრივე. ვაა! ვაა!

2. კინტო. ეს ნალოგის აჩერედი ყოფილა?

1. კინტო. ტავარიჩ. ვრემია ნეტუტამ მუშტარ ჟდიოტ.

დარაჯი. Чего там? Стань в очерадь и больше ничего.

პეტრე. (ბიჭს) იმასაც ბორშზე ეუნება ბოშო?

ბიჭი. არა. больше, და ბოლშე სხვას ნიშნავს.

2. კინტო. რასა ჰყვირის ე რუსი. თავში კონწოლი ხომ არ უქრის. ჩემმა მზემ, ისეთი გავადო, თავი პეტერბუხში ეგონოს. ნალოგი მაგვიტანია, ისიც ვირის ნალოგი, და მადლობის მაგიერად აბიეაიტს გვიშვრება, გინახამს!

1 კინტო. მაშ, მოდი, კარაპეტ, ერთი შენებურად მიადე, მე სვიდეტელად დაგიდგები, ლიჩნი ასკარბლენია ჰქნა—მეთქი.

ელო. გაჩუმდით, ვადაი! თორემა რჯულის მადლმა ვირის აბანოში გიკრამენ თავსა.

პეტრე. კი თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემ თავს.

1 კინტო. მართალია, ჩემმა მზემ, ეხლა სხვა დროა.

2 კინტო. მეტი რა ჩარაა, დავდგეთ ოჩერედში.

1 კინტო. (დგებიან) აი, გიდი, სად არის ძველი დრო, თორემა პრასას რომ მიუგავს ცხვირი, ენას ამაილებდა, ბოზბაშივით გაუხდიდი ჩემმა მზემ.

(შემოდის თავადი)

თავადი. აქ არი ნალოგის კასა, ბოშო?

დარაჯი. Что?

თავადი. რუსი ყოფილა ე ოჯახქორი?

2 კინტო. კნიაზ-ჯან, აქ არის. აჩერედში ვდგევართ.

1 კინტო. კარაპეტ, ნუ მიჰქარამ, კნიაზ არ შაიძლება, აფხანაგო თქო უთხარ!

2. კინტო. (ჩუმად) სადაური ჩემი აფხანაგია გაფხეკილი კნიაზი.

(თავადი. დგება რიგში).

ელო. ეს კნიაზი მაინც რაზე მომსევდა, ვადაი! ქუთაისიდან ვიცნობ. არაფერი გააჩნია—პლუტია, პლუტი რჯულის მადლმა.

1 კინტო. ნუ თუ ამასაც ჩოჩორი ჰყავ და ნალოგი მაიტან.

2 კინტო. ვინ იცის, დუქანი აქვს

1 კინტო. ზედვე არ ეტყობა, რაც შვილია. მოდი ვკითხო. კნიაზო, უკაცრავად! აფხანაგო! რისთვინ გარჯილხარ?

თავადი. თედო ლლონტს ამუაგდებს ღმერთი. სამეგრელოდან გამომიგზავნეს

რეებისათვის, ისე კავშირისათვის, რომელიც მიულებელია სახელმწიფოსთვის.

ფოსტა-ტელეგრაფის კავშირში. ფოსტა-ტელეგრაფას კავშირის კულტურული მუშაობა ვერ არის სათანადოდ დაყენებული. მიზეზი უმთავრესად არის ის, რომ კავშირს არა აქვს საამისო საჭირო ფონდი. კლუბებში ვერ აწარმოებდა კავშირი კულტურულ-განმანათლებელ საქმეს რიგიანად ფულის უქონლობის გამო, ამ ჟამად საქმე გამოკეთდა. სამეურნეო ორგანიზაციამ გადასცა საკმაო თანხა და კულტურული მუშაობაც გაცხოველებულია.

წერა-კითხვის უცოდინარი მუშები კავშირს ცოტა ჰყავს, ამიტომ სპეციალურად ამისთვის სკოლები არ გაუხსნია და წ.-კითხ.-არამცოდნე მუშები გამწარებულ იქნენ სხვა კავშირთა სკოლებში, მუშათა ფაკულტეტზე გაიგზავნა რამდენიმე მუშა. კავშირთან არსებობს პოლიტიკური წრე სადაც დრო გამოშვებით იკითხება მოხსენებები თანამედროვე თემებზე. ხელახალ არჩევნები ჯერ არ მომხდარა

ხატრანსპორტო კავშირში. სატრანსპორტო კავშირის წევრებში ამ ჟამად წერა-კითხვის უცოდინარი ითვლება 350 კაცი დაარსებულია ერთი სკოლა. ამას გარდა კავშირმა დაარსა კიდევ მუსიკალური სტუდია. კავშირს აქვს სამკითხველო, გამოწერილია გაზეთები. მათ შორის გაზეთი „მუშა“ 60 ეკზემპლიარი კავშირს პროვინციაში კარგად აქვს დაყენებული საქმე. უახლოეს დროში მოხდება კულტურულ კომისიაში წევრთა არჩევნები.

ხახალხო კვებავთა კავშირი. სახალხო კვებავთა კავშირს წერა-კითხვის უცოდინარ წევრთათვის გახსნილი აქვს ერთი სკოლა, ამას გარდა კულტურულ განყოფილების მიერ დაარსებულია დრამატიული წრე, კულტურულ ფონდში აგვისტოს თვიდან დღევანდელ დღემდე შემოვიდა 40 მილიონი მანეთი. კავშირი მართავს დრო-გამოშვებით, სალამოებს წარმოდგენებს და მოხსენებებს.

ხამთო-მიდნო კავშირში. სამთო-მადო კავშირი ადგილობრივ, მაგალითად ტფილისში ნაკლებ აწარმოებს მუშაობას, ვინაიდან აქ უმთავრესად საქმე გამოცდილ ინჟინერებ-ტეხნოლოგების ხელშია და ისინი აწარმოებენ სათანადო მუშაობას, უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს პროვინციას, სადაც კავშირი აწარმოებს გაცხოველებულ მუშაობას, იგზავნება გამოცდილი ინსტრუქტორები—ხელმძღვანელები, რომელნიც ხელმძღვანელობენ სამთო-მადნო წარმოების საქმეს.

მსოფლიო ომი და ევროპის მცხოვრებთა მოძრაობა

(გაგრძელება)

ე. დაბადებათა და ხიკვდილიანობის ურთიერთ შორის დამოკიდებულება.

განვიხილეთ რა ცალ-ცალკე ქორწინებათა, დაბადებათა და სიკვდილიანობათა მსვლელობა, მთლიან სურათი მისაღებათ საჭიროთ მიგვაჩნია შეფარდება და გამორკვევა იმისა, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყო ომის დროს დაბადებათა და სიკვდილიანობათა რაოდენობა მცხოვრებთა შორის.

დაბადებათა და სიკვდილიანობათა რაოდენობა ომის დროს და შემდეგ ყოველ 1000 მცხ.

წლები	ინგლისი დაიბ.	ინგლისი მოკვ.	საფრანგეთ. დაიბ.	საფრანგეთ. მოკვ.	ბელგია დაიბ.	ბელგია მოკვ.	იტალია დაიბ.	იტალია მოკვ.
1913	24,1	13,8	18,3	17,7	21,6	13,9	31,7	18,8
1914	23,8	14,0	18,0	19,6	20,2	14,2	31,1	17,9
1915	21,9	15,9	11,3	19,1	16,1	12,9	30,5	20,4
1916	20,9	14,7	9,4	18,1	12,8	13,2	24,1	19,7
1917	17,8	14,8	10,4	16,6	11,1	16,4	19,5	19,3
1918	17,7	18,3	12,1	23,3	16,9	—	17,1	31,0
1919	18,5	14.9	12,5	19,2	—	—	—	—
1920	25,4	12,4	—	—	—	—	—	—

მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, რომ უფრო საკეთილდღეო მდგომარეობაში ყოფილან ინგლისი და იტალია. მხოლოდ 1918 წელში სიკვდილიანობას გადაუჭარბებია დაბადებათა რიცხვისათვის. ამის მიზეზი, როგორც ზევით აღვნიშნეთ იმდენად ომი არ იყო, როგორც „ისპანკის“ ფართო გავრცელება, ცუდ მდგომარეობას აქვს ადგილი საფრანგეთში: ომის და ომის შემდეგ სიკვდილიანობა სჭარბობს დაბადებათა რიცხვს, აგრეთვე ცუდ მდგომარეობაში ჩარდნილი გერმანია: 1916 წლიდან დაწყებული სიკვდილიანობა სჭარბობს დაბადებას 1916 წელში—178,500-ით, 1917 წელში—322,830 და 1918 წ. 496,000 სულით.

არა უფრო კეთილ სურათს წარმოადგენს რუსეთი, რისი ნათელი მოწმეა შემდეგი ცხრილი:

დაბადებათა და სიკვდილიანობათა რაოდენობა პეტროგრადში და მოსკოვში ყოველ 10.000 მცხოვრებზე.

წლები	პეტროგრადი დაბადებ.	პეტროგრადი გარდაცვ.	პეტროგრადი ზედმეტობა დაბ.+ გარ.	მოსკოვი დაბადებ.	მოსკოვი გარდაცვ.	მოსკოვი ზედმეტ. დაბ.+გარ.
1910-1914 (საშ.)	250	213	+ 37(1911 წ.)	332	231	+ 101
1915	225	228	— 3	270	221	+ 49
1916	196	232	— 36	229	202	+ 27
1917	160	252	— 92	196	212	— 16
1918	150	437	—287	148	280	— 132
1919	140	717	—577	168	447	— 279
1920 (1 ნახევარ)	207	691	—484	219	462	— 243

როგორც ცხრილიდან სჩანს პეტროგრადში ომის დაწყებისთანავე სიკვდილიანობა იწყებს ჭარბობას დაბადებაზე. რევოლიუცია ამ სიჭარბეს უფრო აღრმავებს და აღრმავებს იმდენად, რომ იწვევს საშიშროებას მცხოვრებთა სრულიად განადგურება-ამოჟლეტისას, მოსკოვი უფრო მედგრად უხვდება სიკვდილიანობას: თითქმის 1917 წლამდის სიკვდილიანობა ვერ ერევა მოსკოვის მცხოვრებლებს, ხოლო რევოლიუციის პირველ წელშივე სიკვდილიანობა იმარჯვებს დაბადებულებათა რიცხვზე და შემდეგ წლეებში მიექანება გიგანტურ ნაბიჯებით მოსკოვის მცხოვრებთა ამოწყვეტისაკენ, უკანასკნელად შეკრებილი რიცხვები 1920 წელში როგორც პეტროგრადში ისე მოსკოვში მაჩვენებელია მომავალ საშიშროების და მეორე მხრივ ამხსნელია ამ ქალაქების დაცარიელების:

პეტროგრადის და მოსკოვის მცხოვრებთა რაოდენობა.

1917 წელ.	2.420.000	2.017.173
1918 „	1.469.000	1.716.022
1919 „	800.000	1.408.000
1920 „	706.000	1.028.218

ცხრილი გვაჩვენებს, რომ რევოლიუციის განმავლობაში პეტროგრადის მცხოვრებთა რაოდენობა შემცირდა 71 პროც.-ით. მოსკოვის—49 პრც.-ით. რასაკვირველია ეს შემცირება სავსებით არ შეიძლება მიწერილი იქნეს სიკვდილიანობის გამარჯვებაზე, ამის მიზეზია აგრეთვე ზემოხსენებილ ქალაქებიდან მცხოვრების გაქცევა საზღვარ-გარეთ და პროვინცია—სოფლებისაკენ, მთელ რუსეთშიაც ეგეთ მოვლენას აქვს ადგილი: ომის დაწყებამდის სიკვდილიანობა თითქმის უთანაბრდებოდა დაბადებულთა რიცხვს, ხოლო 1917 წლიდან სიკვდილიანობამ აიმატა და გადააჭარბა დაბადებულთა რაოდენობას.

3. მსოფლიო ომის გავლენა სქესთა რაოდენობაზე.

მსოფლიო ომში მონაწილეობას იღებდენ მამაკაცები და ცხადია, რომ სიკვდილიანობაც მათ შორის მძვინვარებდა, რაც მიზეზათ შეიქნა დედობრივი და მამობრივი სქესთა შორის დაწესებულ რაოდენობის შეცვლისა. როგორც სტატისტიკის საშუალებით გამორკვეულია, ომამდის მამობრივი სქესის ბავშვები ოდნავათ უფრო მეტი იბადებოდენ ვინემ დედობრივ სქესისა. ყოველ 106 ვაჟზე იბადებოდა 100 ქალიშვილი. ეგეთი უთანაბრობა სწორიანდებოდა მით, რომ ბუნებით ქალები უფრო დაჯილდოვებულნი იყვნენ ორგანიზმის გამძლეობით, ვინემ მამაკაცები; ასე რომ საბოლოო ჯამში მამაკაცთა და დედა-კაცთა რაოდენობა თანაბრიანდებოდა. ომმა ეს სწორრიცხვიანობა სქესთა შორის სრულიად აშალა და ფართო სარბიელი, თუმცა უარყოფითი, გაუშალა დედაკაცებს. გასაკვირალიც არ არის, თუ გავიხსენებთ, რომ მარტო ბრძოლის ველზე სული ამოხდა ათ მილიონ ვაჟკაცს და ცხადია, რომ ეგეთ აუარებელ მამაკაცთა რაოდენობის დაკარგვა შედეგათ მოიტანდა დედა კაცთა რაოდენობის სიჭარბეს. მივმართოთ ცხრილს;

ყოველ ათას მამაკაცზე მოდიოდა

დედაკაცები	1913 წ.	1919 წ.
გერმანიაში	1024	1090
ავსტრ.-უნგ.	1027	1092
დ. ბრიტან.	1069	1094
საფრანგეთ.	1036	1120
იტალიაში	1037	1070
ბელგიაში	1017	1047
ბოლგარიაშ	966	966
რუმინიაში	974	1016
სერბიაში	937	1339
ევრ. რუს-	1020	1060
ყველა ქვეყნებში	1026	1080

მცირე რიცხოვანი სიჭარბეა იტალიაში, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში და რუსეთში. უფრო საგრძნობ რიცხვებს დედაკაცთა რაოდენობის ჭარბობა აღწევს საფრანგეთში, ბოლგარეთში, რუმინიაში, ხოლო სერბია ამ მხრივ დედაკაცთა სამეფოთ გადაქცეულა.

თუ აბსოლიუტურ ციფრებით გამოვხატავთ დედაკაცთა რაოდენობის ზედმეტობა შემდეგ რიცხვებს მივიღებთ: გერმანიაში—2,800,000 დედაკცით მეტია, საფრანგეთში—2,100,000, ავსტრო-უნგრეთში—2,200,000 და თითქმის ამდენივე დიდბრიტანეთში: ამნაირად ოთხ ქვეყანაში დედაკაცთა რიცხვი 9.200.000 სჭარბობს მამაკაცთა რაოდენობას. დედაკაცთა რაოდენობის ეგეთი გადამეტება კიდევ იმდენათ არ იქნებოდა საგრძნობი და საშიში, რომ ამ გადამეტებულ რიცხვს მოხუცნი დედაკაცები შეადგენდენ, როგორც ამას ქონდა ადგილი ომის დაწყებამდის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ რაოდენობას შეადგენენ ახალგაზდა, საქორწინოთ გამზადებული ქალიშვილები 18—45 წლის ასაკისა და თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ქვემოყვანილ ცხრილს, რომელშიც [illegible] სათხოვარ და ცოლსათხოვ ქალ-ვაჟთა რაოდენობის ურთიერთ-შორის დამოკიდებულება, დავინახავთ იმ გამოუვალ მდგომარეობას, რომელშიც ჩაყენებული არიან და განიცდიან გასათხოვარი ქალიშვილები.

ყოველ 1000 მამაკაცს 18-45 წ. ხვდებოდა ამავე ხნოვანების დედაკაცები

	1913 წ.	1919 წ.
გერმანიაში	1005	1180
ავსტრო-უნგრეთში	1048	1230
დიდ ბრიტანეთში	1078	1175
საფრანგეთში	1017	1230
იტალიაში	1109	1228
ალნიშ. 5 ქვეყ-ში სულ	1045	1205

არც რუსეთშია უკეთესი მდგომარეობა: დედაკაცთა რაოდენობა აქაც სიჭარბისაკენ მიიწევს, განსაკუთრებით რევოლიუციის შემდეგ. პეტროგრადის და მოსკოვის მდგომარეობას თუ ავიღებთ. მაშინ სრულიად უმწეო მდგომარეობის წინაშე ვიქნებით დაყენებული.

მოსკოვში 1897 წელში ყოველ ათას მამაკაცზე ხვდებოდა 755 დედაკაცი; 1912 წელში—843; 1915—891 და რევოლიუციის დაწყებისას—983. რევოლიუციის დროს დედაკაცთა რაოდენობამ სწრაფად აიმატა, მამაკაცთა რაოდენობამ კი დაიკლო. უკანასკნელ აღწერის მიხედვით ყოველ 1000 მამაკაცზე ხვდებოდა მოსკოვში 1,226 დედაკაცი, პეტროგრადში კი—1381. ამნაირად პეტროგრადში უფრო ცუდი მდგომარეობა დატრიალებულა ვინემ სერბიაში და რუსეთის ორივე დედა-ქალაქი გადაქცეულან დედაკაცთა ქალაქებათ.

ჩვენ აქ არ შეუდგებით იმ არა სასურველ შედეგების ჩამოთვლას, რომლებიც მოყვება ქვეყნების გაქალიანებას მხოლოდ აღვნიშნავთ ზოგიერთმა ქვეყნებმა უკვე იგრძნეს უარყოფითი მხარეები ამ მოვლენისა და შეეცადენ რამენაირად თავიდან აეშორებინათ არა სასიამოვნო შედეგები. გერმანიის სწავლულებმა ერთ დროს იმის წინადადებაც კი შემოიტანეს, რომ ნება დაერთოთ მსურველთათვის მრავალ-ცოლიანობისა. საბჭოთა რესპუბლიკებმა თუმცა პირდაპირ არა, მაინც გაკვრით თითქოს ნება დართეს უკანონო შეულლებას და ამავე დროს მომავალ თაობის და დედათა დასაცავად უკანონო შვილები გასწორუფლიანეს კანონიერებთან.

ზ. ომის გავლენა მცხოვრებთა წლოვანებრივ შემადგენლობაზე

როგორც წინა წერილებიდან შევამჩნევდით, მსოფლიო ომმა მუსრი გაავლო როგორც მოხუცებულებს, ისე ახალგაზდებს და ბავშებს.

მოხუცებულთა სიკვდილიანობა სახელმწიფოთათვის და საზოგადოებისათვის არ წარმოადგენს დიდ დანაკლის, არამედ ომის გამო შექმნილ ცუდ მდგომარეობაში კიდევაც უმსუბუქებს სახელმწიფოს ტვირთს და თავიდან აცილებს უმუშევარ, ტყუილად მყოფ ხელის შემშლელ ელემენტებს.

ხოლო სახელხწიფოსათვის სახიფათოა და აუარებელ ზარალის მომტანი ახალგაზდათა და ბავშთა დანაკლისი. ყველა ჯარში გაწვეულნი, თუ მათ განვიხილავთ ბიოლოგიურ თვალსაზრისით, წარმოადგენენ ქმრებს და მამებს, ოჯახის მეთაურებს და მრჩენელებს, ხოლო საზოგადოებრივ თვალსაზრისის მიხედვით, ისინი წარმოადგენენ გლეხებს—მიწის და ქარხნის მუშებს, მოხელეებს სხვა და სხვა დაწესებულებათა და წარმოებათა, მომავალ თაობის წარმომშობ და აღმზრდელებს, შემქმნელს სახალხო სიმდიდრისას, ხელმძღვანელთ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებისას.

ცხადია, რომ დაკარგვა ათ მილიონ ვაჟკაცისა, რომლებიც ეგეთ დიდ ღირებულებას წარმოადგენდა სახელმწიფოსათვის, სათანადო გავლენას მოახდენდა მომავალ ცხოვრებაზე. უპირველესად ყოვლისა რამდენი სიმდიდრე დაეკარგა თითოეულ ქვეყანას ამ ვაჟკაცთა ამოწყვეტით, როგორი მძლავრი კაპიტალი ჩაფლა ბრძოლის ველის მიწაში კაცობრიობამ, მაგრამ მეორე მხრივ თუ ადამიანებს მარტო ვიწრო ეკონომიურ თვალსაზრისით არ გავმიჯნავთ და მი-

---

ორი ჯიშიანი მეძებარი და ერთი მილიონი ნალოგი დამაწერეს ახლა. თუ დღეს არ გადაიხადეო, ხვალ მოგიმატებენო.

კინტოები. ვაა! (ყველას უკვირს).

1 კინტო. ძაღლების ნალოგი გინახავს.

ელო. დევილუპე რჯულის მადლმა. მოშეს ძაღლი ყოველ დღე ჩემ სახლში გდია და იმის ნალოგი არ გადამახდევინონ.

პეტრე. დეილოცა, ღმერთო, შენი სახელი.

მიკირტ. მშვიდობით, ჩემო ბარბოს. ვა! რა ძაღლი მყვანდა. უნდა მოჰკლან, თუ ნალოგი ვერ მივცემ.

1 კინტო. გადამალე აფხანაგო. განა ცოტა ხალხი იმალება ეხლა. ეგეც პოლიტიჩესკი იქნება (საერთო სიცილი).

დარაჯი. Чаго там?

1 კინტო. ტავარიშჩ აკაზივაიტ საბაკ ტოჟ ნალოგ იმეიტ. ია გავარუ, კტო საბაკ იმეიტ, სკრივაიტ. საბაკ ნელეგალნი ჟიტ ბუდიტ. (დარაჯი იღიმება).

2 კინტო. რა ახმახ.ა რამეა ე კნიაზი; ფეხებში მამალმა დაუყივლოს, ყურებში ვერ გააგონებს.

პეტრე. დევილუპე კაცი, დევიგვიანე პრავიზიაზე.

1 კინტო. (დარაჯს) გოსპ... ტავარიშჩ... სკაჟი ნამ ნოვი დელა. სეგოდნია გეურქ გავარიტ, შტო ლოზანა კონფერენცი ბუდიტი.

დარაჯი. Да!

1 კინტო. ქემალ—ტატარინ—გავარიტ სტამბოლ ვზიალ.

დარაჯი. Да!

2 კინტო. ინგლინცკი პარახოდ დარდანელ სტაიტ გავარიტ ი ტატარ აბიჟაიტ გავარიტ.

დარაჯი. Да!

1 კინტო. ნაგრეცია რევოლუც გავარიტ ბუდიტ.

დარაჯი. Да!

2 კინტო. ვა, სულ ზახრუმან, როგორ იქნება! (ზარის ხმა. დარაჯი გარბის).

ხმები: დაიწყება... დაიწყება.

პეტრე. დევილუპე კაკალი კაცი. პრავიზიაზე დამიგვიანდა.

1 კინტო. კარაპეტ, მადლობა ღმერთსა, რომ ვირი არა ხარ თორე მამაშენს მილიონს გადაახდევინებდნენ, აი!

დარაჯი. Кассир ушел поделу и через два часа будут принимать деньги. (უკმაყოფილების გამოთქმა).

თავადი. ორი საათი აქ უნდა ვიდგე.

დარაჯი. Чтоже, Кацо, Постоите.

თავადი. (გაბრაზებული) შენ არ მომიკვტე. რა მაქ სახვეწარი. (გადის).

პეტრე. დევილუპე კაცი. პრავიზიაზე დამაგვიანდა.

2 კინტო. მოდი და იყოლიე ახლა ვირი!..

1 კინტო. ეჰ, დროებავ, მე აქ ხუთი საათი უნდა ველოდო, ჩემს ვირს კი ბოსელში არხეინად ხვრინავს.

(ფარდა)

დონ-ბაზილიო.

ჭორი

მეშაირეთ არ ითვლება ვინც, რომა სთქვას ერთი ორი
არც მეჭორედ გამოდგება, ვინც მოჩმახოს ძვირათ ჭორი.
ხამს ლაყბობდეს, ოცნებობდეს, ზურგს ეკიდოს მას ტიკჭორი;
პოლიტიკას ბლაუკობდეს, ჯიუტობდეს როგორც ჯორი;
ლოზანიდან მოელოდეს, ლონდონის გზაც არ სცნოს შორი;
იმედს მუდამ ულვიძებდეს ხომერიკი, გეგეჭკორი.
მათ სასახლის სავარძლებსა მან ქუჩიდან ჰყოს ამბორი;
საახალწლოთ დაამზადოს გოზინაყი, ღვინო, ღორი.
და ჭრადიოს მაგიერათ მას შიკრიკათ ჰყავდეს ჭორი.
ძველი სტილით მოელოდეს, ხაშური და სურამ-გორი;
ნათლი ღებას აქ გვეწვიონ, შეეგებონ მღვდლების „ხორი“...
მაგრამ... ვფიქრობ ამდენ ტყვილებს მოეკიდა ობი, ფორი.
საქართველოს შველისათვის, მო, გიჩვენოთ მე გზა სწორი:
„თუ ფხიზლათ ვართ, დამიჯერეთ, ვერას გვიზამს მტრების ჭორი?“

კაპიტონი.

„ნეპო“ და ღვდლეგი

რაკი სხვა და სხვა მოკლე ვადიანი კურსების გახსნა ამ რევოლიუციის დროს მოდაში შემოვიდა, ტფილისის სპეკულიანტებსაც გაუხსნიათ სწრაფი და უსაზღვრო ფასების მომატების კურსები. ამ კურსების პირველი „ვიპუსკიდან „გამოსულა რკინის გზის, ტრამვაის და საფარმაციო სამმართველო. ამის გამო რკინის გზის და ტრამვაის მგზავრებს გადაუწყვეტიათ, თვითონაც გადავიდენ „საოჯახო ფეხზე“. მაგრამ რადგან ეს ახალი ეკონომიური პრინციპი სნეულთათვის მიულებელია, მათ გადასწყვიტეს აღარ იყიდონ წამლები და მიმართონ კერძო ექიმ-ბაშებს. ამას, ამბობენ, ხალხის გამრავლების მაგივრად სასაფლაოების გამრავლება მოყვება, რაც ღვდლებს კაი გუნებაზე აყენებს. აქვე გვაცნობებენ, რომ რაკი მღვდლებს „სობორო“ ჩამოართვეს, ისინი მოყვენ ქადაგს: „ეკლესიაც, რომ არ გვექნეს, სადაც დაგვიძახებთ, ღმერთიც იქვე არისო“...

ძველი მღოვგვი.

ფარმაცევტების სიმღერა

საახალწლოთ გაგვახარეს,
მოგვიმატეს ჯამაგირი.
საშობთაც მოელოდა,
გადაპრუწვას ჩვენი პირი,
მაგრამ ყურიც არ გვათხოვეს
ამით მოგვცეს გასაჭირი.
გადაპრუწვას ვინ ჩიოდა;
ბალღები გვყავს ანატირი:
არც შობის ხე, არც ნამცხვარი:
არც ნიგოზი და არც თხილი;
სიზმრათ ექცათ გოჭი, ცხვარი,
გოზინაყი, ლელვის ჩირი.
და ცხადში კი ზეთი ბლომათ,
სკიპიდარი, ხინა „ტკბილი“
ახლაც კიდევ ველოდებით,
იმის რაღაც კანტი-კუნტად,
რათ ვიშრომოთ ასე ტყულად,
თუ კი ვყიდით ერთი-ხუთად.

ჰინჭილა.

მოწერილი ამბები

სამტრედია. წარმოდგენებს ხშირად სდგამენ, რომლის დროს თეატრში მსახიობნი ასრულებენ მაყურებელთა მოვალეობას.თავი წყნარად უჭირავთ,ხოლო იქაური საზოგადოება კი თვით ასრულებს მსახიობთა მოვალეობას. წარმოდგენის დროს იგი საუბრობს „იუჟინზე“, რომელმაც კურთხეული სამტრედია დაივიწყა, მღერის და სწავლობს სიმღერას, ორატორობს და სწავლობს ლაპარაკს...

აქაური დედები აკვანიდანვე აყვარებენ თავის ბავშვებს თეატრს, ძუძუ-მწოვარი ბავშები ბლომად ესწრობიან წარმოდგენებს!..

—

ყველა დაწესებულებებს გამოუკრავს ქაღალდები „ცოტათი გაცრეცილი ფული არ მიიღება“.

—

აფთიაქის მესვეურთ სამღვთო მოვალეობათ დაუსახავთ ყველა გაჭირვებულ მოქალაქეს წამალი უშოვნიან, მაგრამ მათ არ აქვთ, ამიტომ ისინი ყველა „რეცეპტიანს“ ჰგზავნიან . მიკიტანთან და მეწვრიმალე „ბოშესთან“,ვინაიდან ამათ ყოველთვის აქვთ „წამალი“.

აქაური ექიმები დიდის ხალისით შეუდგენ მუსიკის შესწავლას!..

რედაქტორი ავენა წკიპურტაძე.

უდგებით ბიოლოგიურ საზომით უფრო მეტ საშიშლებების წინაშე დავდგებით: კაცობრიობამ მსოფლიო ომში ბრძოლის ველზე დაკარგა ათი მილიონი საქმრო, ქმარი და მამა, ათი მილიონის მოდგმა მომავალში და ეს ხომ აუარებელ განძეულობის დაკარგვაა.

მაგრამ მარტო ამ ათი მილიონი ვაჟკაცის დაკარგვით არ ამოწურა ომის უბედურება ამ მხრივ. საქმე იმაშია, რომ ომმა გარდა ამ დაუბრუნებელ და საბოლოოდ დაკარგულ მსხვერპლებისა მოითხოვა აუარებელი ჯარისკაცნი. გერმანიამ ბრძოლის ველზე გამოიყვანა—11 მილიონი, ავსტრო-ჰუნგრეთმა 9, დიდ ბრიტანეთმა (ინდოეთის და ახალშენების გამოკლებით) 6, საფრანგეთმა 7 და რუსეთმა 17-18 მილიონი. ამ აუარებელ რიცხვიდან—50 მილიონ ჯარისკაციდან ათი მილიონი სავსებით შეიწირა, მაგრამ ამავე დროს რიცხვი აქვს იმ რაოდენობას ჯარისკაცებისას, რომლებიც თუმცა კიდევაც დაბრუნდენ სახლში, მაგრამ დაბრუნდნენ დაბრმავებულნი, დასახიჩრებულნი, დაშავებულნი ცხოვრებისათვის გამოუსადეგარნი და საბოლოოდ ცოცხალ-მკვდარნი? მესამე წყება ჯარისკაცებისა გადარჩა, როგორც პირველ, ისე მეორე უბედურებას, მაგრამ რას წარმოადგენენ ისინი, გარდა დასუსტებულ, ძალღონე მიხდილ, ნერვებ აშლილ ადამიანებისა.

ამნაირად ომის შემდეგ დარჩენილ ქმრების და მამების ღირებულება მეომარ ქვეყნებში, როგორც სოციალ-ეკონომიურის ისე ბიოლოგიური თვალსაზრისის მიხედვით, ძლიერ მცირე ხასიათისაა და თუ ამავე დროს მხედველობაში მივიღებთ ომის გათავების შემდეგ შექმნილ მდგომარეობას, როდესაც დასუსტებულ ძალა მიხდილ ქვეყნებისათვის საჭიროა ძლიერის სულის და ჯანის მქონე მცხოვრებლები, ჩვენ წინ გაიშლება სურათი დღევანდელ უბადრუკ მდგომარეობისა. მაგრამ შესაძლოა ამ ქვეყნებს ეზრდება ახალი თაობა მედგარი ბუნების, სალი ჯანმრთელობის, მაღალ ალმაფრენის, შესაძლოა ომამდი და ომის შემდეგ შექმნილი ბავშვები ამ იმედებს იძლეოდენ და დროებით შესუსტების შემდეგ მეომარ ქვეყნებს დაუდგებათ მომხიბლავი ხანა, სწორედ მაშინ, როდესაც წამოიზრდება ახალი თაობა.

სამწუხაროდ მოზარდი თაობა ამ იმედებს არ ანაღდებს. ომის მიერ შექმნილმა სიმშილმა, ლუკმა-პურისათვის ბრძოლამ ქუჩის გამხრწნელმა მოქმედებამ, ომიანმა მდგომარეობამ თავისი მახრი ბრჭყალები ჩასჭიდა მომავალ თაობასაც ისედაც, როგორც წინა წერილებში აღვნიშნეთ მცირე რიცხოვან და შესუსტებულს. ჩვენ არ შევუდგებით ცალ-ცალკე ქვეყნების ბავშვების მდგომარეობის აღწერას, მათ მდგომარეობის ნათელი მოწმეა ყოველი მცხოვრები. რომელ ქვეყნისაც არ უნდა იყოს ის. მხოლოდ მოვიყვანთ საილუსტრაციოთ ამერიკელთა მისიის მოხსენების ნაწყვეტს გერმანიის ბავშთა მდგომარეობის შესახებ. ცხადია, თუ გერმანიაში, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ემზადებოდა ომისათვის, რომელიც შეადგენდა მძლავრ ეკონომიურ სახელმწიფოს და რომელიც ომის დაწყებისთანავე სურსათ-სანოვაგეს ისე ანაწილებდა, რომ სიმშილი მცხოვრებთ არ განეცადათ, ან უდროოდ არ შემოკლებოდა სურსათ-სანოვაგე, ცხადია, ვამბობთ ჩვენ, თუ ეგეთ ქვეყანაში ბავშვები სიმშილით სწყდებოდინ, ირყვნებოდენ და სულიერად ეცემოდენ, რა უნდა მომხდარიყო თუნდ რუსეთში, სერბიაში, ბელგიაში და სხვა მეომარ ქვეყნებში.

აი როგორი ყოფილა მდგომარეობა ბავშვებისა გერმანიაში, ამერიკელთა მისიის ცნობით: „ჩვენ შევხვდით ბავშვები მშრალ დანაოჭებულ, ნაკეცებ ჩამოსულ კანით, გამობერილ მუცლით, თვალებჩაცვენილნი, ლონე მიხდილნი, გამრუდებულ ფეხებით და თითქმის ყველა სენით შეპყრობილნი. თუ როგორი ფართო ხასიათის იყო ჭლექი ბავშთა შორის, ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზევით.

ზემოხსენებულიდან შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: მოზარდი თაობა, მომავალი მოდგმა, რომელიც შესცვლის დღევანდელ მამებს არ იძლევა სანუგეშო ნიშნებს, ბიოლოგიურ და საზოგადოებრივ თვალსაზრისის მიხედვით ისინი დაჩიავებულნი არიან და როგორც ეგეთები უფრო გამოუდეგარნი და მოუმზადებელნი როგორც ოჯახურ ისე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებისათვის ვინემ იყვნენ მათი ბაბუები და წინაპრები.

გ. ჩუბინიძე.

(შემდეგი იქნება)

1923 წ. 7 იან. ქ. პეტროგრადი.

უმაღლესი სასწავლებლის დაარსება საქართველოში

(გაგრძელება*)

II

წარსულ საუკუნის სამოცდა ათიან წლებში ჩამოვიდა საქართველოში რუსეთის მეფე ალექსანდრე მეორე ამ გარემოებით მოინდომეს ესარგებლათ ერთის მხრით ქართველ თავად-აზნაურობას და მეორეს მხრით მოწინავე საზოგადოებას. პირველი ჩვეულებისამებრ წარუდგა რუსეთის თვითმპყრობელს 40-დე გენერლის სახით (მათ შორის იყო გრიგოლ ორბელიანიც) და სთხოვა ტფილისში „კადეტის კორპუსის“ დაარსება. მოწინავე საზოგადოებამ კი (სერგეი მესხმა, ნიკო ნიყოლაძემ, გიორგი თუმანიშვილმა და სხვებმა) ხელმწიფეს მიართვა არზა, და რომლითაც სთხოვა კავკასიაში, რომლის ცენტრად ჩვენი სატახტო ქალაქი—ტფილისი—ითვლებოდა, უმაღლესი სასწავლებლის დაარსება. ამ მოთხოვნას მხარს უჭერდა სომხის მოწინავე საზოგადოებაც. მათი უმთავრესი მოტივი იყო, რომ „ქართველი ახალგაზრდობა რუსეთის ჰავას ვერ იტანს, იქაურ ცხოვრებას ვერ შეეგუა, ამიტომ მრავალი იხოცება, ან მძიმეთ ავადმყოფდებაო“.

შემდეგშიაც, როდესაც უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაზე დაიწყებდნენ წერას ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ამ გარემოებას ხშირად საბამს აძლევდა რუსეთში ამა თუ იმ ახალგაზრდა სტუდენტის გარდაცვალება.

რუსეთის მეფემ, რასაკვირველია, ძლიერთა ხმა ისმინა და უმაღლესი ბრძანებით ტფილისში დაარსდა „კადეტთა კორპუსი“.

ამ გვარად ჩვენი თავად-აზნაურობა გაიტაცა „რინ-ეპოლეტებმა“ და მათში არ აღმოჩნდა ნასახი ეროვნული შეგნებისა, მომავალი თაობისა და ქვეყნის წინაშე პასუხის-მგებლობის გრძნობისა; იგი მოიხიბლა ბრჭყვიალა „პოგონებით“ და მოწინავე საზოგადოებასთან ერთად არ მოითხოვა უმაღლესი სასწავლებლის დაარსება ჩვენში.

როგორც ვსთქვით, მე-19-ე საუკუნეში ქართველი თავად-აზნაურობა ჩვენს ნორმალურ განვითარებას ხელს უშლიდა თავისი მოქმედებებით, რომელთა ნაშთი დღესაც საგრძნობია ჩვენს ცხოვრებაში.

„კადეტის კორპუსმა“ ჩვენს ერს შესძინა რამოდენიმე ასეული გადაგვარებული „მოწყინვალე“ წოდების ოფიცრები.

მე-80-ე და მე-90-ე წლებში, როდესაც ჩვენში გამრავლდა ჟურნალ-გაზეთები, დაარსდა სხვა და სხვა ეროვნული და კულტურული დაწესებულებები უფრო ხმა მაღლა და დაბეჯითებით თხოულობდენ უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაც ჩვენში. ამტკიცებდნენ ცხოვრებიდან აღებულ მაგალითებით, რომ რუსეთის უნივერსიტეტები ჩვენ **უმთავრესად** ჩინოვნიკებს და ჩვენი ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ პირებს გვიმზადებსო ყოველ წელიწადს ასეულებს ვგზავნით რუსეთში სასწავლებლათ, მაგრამ სახალხო მოღვაწე, ხალხის ჭირ-ვარამზე მზრუნავი, მის ცხოვრების გაუმჯობესებაზე მშრომელი, საერთოდ ფართე საზოგადოებასთან მყოფი და მომქმედი პირები კი „სანთლით“ საძებარია“-ო...

არც ერთი პიროვნება ისე ხშირად არ უბრუნდება ამ საკითხს, როგორც გაზეთ „დროების“-ს სულის ჩამდგმელი სერგეი მესხი.

ეს საკვირველი ადამიანი 14 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ გაზეთს (მასთან მთელ მოწინავე საზოგადოებას) და იმ დონემდე აიყვანა მისი გამომცემლობა, რომ დღესაც კი გაუჭირდება იმ დონეზე ავიდეს რომელიმე გაზეთი. იმ დროს, როდესაც გაზეთ „დროებას“ 300-ზე ცოტა მეტი ხელის მომწერი ჰყავდა და ამ რიცხვის ნახევარი ხვედრ ფულსაც კი არ იხდიდა.

14 წლის განმავლობაში არ დარჩენილა არც ერთი საკითხი ჩვენი ცხოვრებისა, რომ ამ კაცს არ აღეძრას და შეძლებისადაგვარად არ გაეშუქებიოს.

უმაღლესი სასწავლებლის დაარსების აუცილებლობა ეროვნულ თვალსაზრისით პირველად ამ კაცმა დაამტკიცა. საკვირველია, ეს კაცი ასე შეეწირა თავის ქვეყანას და დღესაც კი ის არ არის ღირსეულად დაფასებული. **ჩვენს მოქანდაკეს ჯერაც არ ჩამოუსხამს მისი ბრწყინვალე სახე და არ ჩაუქსოვია მასში ის განხორციელება მამულისადმი და ხალხისადმი სიყვარულისა, რომელსაც ეს საყვარელი თანამემამულე წარმოადგენდა...**

მოკლეთ: წარსულ საუკუნის მესამოციანე წლებიდან საუკუნის დამლევამდეს იყო ცდა და ბრძოლა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის ჩვენში. ეს საკითხი ერთი უმთავრესი საკითხთაგანი იყო, მაშინდელ მოწინავე საზოგადოებისათვის. არც ერთი საკითხი არ ყოფილა ისეთი საყოველთაო, რომელზედაც დაწერილიყოს, ან თქმულიყოს იმდენი, რამდენიც ამ საკითხის გარშემო. ყოველ ხელსაყრელ პირობებში უბრუნდებოდნენ ამ საკითხს ჩვენი მაშინდელი ჟურნალ-გაზეთები.

უბრალო საბაბი საკმარისი იყო, რომ ეს საკითხი აღძრულიყო და საყოველთაო გამხდარიყო.

მთელმა ამ დიდმა მუშაობამ მე-19-ე საუკუნის განმავლობაში **ნიადაგი მოუმზადა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას ჩვენში.**

(გაგრძელება იქნება).

ქ. ნემსაძე.

---

*) იხ. „ტრიბუნა“ №№ 391 და 392

შეცდომა თუ მოსაზრება

მკითხველებს ემახსოვრებათ თუ რამდენჯერ იყო აღნიშნული, რომ ჯანმრთელობის დარგში ბევრი რამ გაკეთდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ.

ღირს აღსანიშნავი იყო აფთიაქების ნაციონალიზაცია. დიდი ბრძოლა იყო მის გარეშემო წინეთ, მგრამ ცხოვრებაში მისი გატარება შესძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ.

მკითხველებს ალბად ისიც ახსოვს თუ რამდენი წერილები დაისტამბა, რომ აფთიაქები არ გაცემულიყო იჯარით. მაგრამ საუბედუროდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეოხებით, ჯანმრთელობის კომისარიატმაც გაანაღდა თავისი გამოუსადეგარი აფთიაქები.

თუ მოიჯარადრეები გვეყოლებოდა, გვეგონა კანტროლი გადიდდებოდა, რომ ამით მშრომელი ხალხი ასცდენოდა მოიჯარადრეების ჩარჩულ საქმიანობას. დღეს კი ჩარხი სულ სხვანაირად დატრიალდა, გაიცა იჯარით ისეთი აფთიაქები, რომლებიც თავიანთი შემოსავლით თავიანთ თავს ვერ ინახავდა. ესე იგი აფთიაქების საერთო იჯარით გაცემა კი არ მომხდარა მაზრებში, არამედ მოხდა ისეთი აფთიაქების იჯარით გაცემა, სადაც „გამოცდილი“ აფთიაქის გამგეები იყო და ჯანმრთელობის კომისარიატებს აფთიაქი გაუკოტრა. არ იკითხავთ რა სასჯელი მიესაჯა ასეთ აფთიაქის გამგეებს? იმათ მისცეს იჯარით აფთიაქი და ჩაუტოვეს მთელათ ხელში.

მართლაც დიდებული სასჯელია. წინეთ, თუ ორი სამი საათი ეკარგებოდა ასეთ გამგეებს ანგარიშებისათვის კვირაში, ეხლა ისიც თავისუფალი აქვთ. ვის ხელში ჩავარდით? ცხადია მათ ხელში ვინც ჩვენი აფთიაქების საქმეები დასცეს პირადი სარგებლობისათვის. გაუმართლდათ ჯერ-ჯეროვნით მათი ნაფიქრალი, ჩაუვარდათ მშრომელი ხალხის ჯანმრთელობა ხელში, გადააქციეს აფთიაქები ძველებურ საჩარჩო დაწესებულებათ.

წინეთ დაინტერესებულ პიროვნებას შეეძლო საჭიროების დროს შეეტყო, რამდენი ერიცხებოდა რომელიმე აფთიაქს წამალი, დღეს ასეთ წიგნებს ვერსად ნახავთ მოიჯარადრესთან.

ეხლა შევეკითხოთ ჩვენ ჯანმრთელობის უმაღლეს ორგანოებს, შეცდომაა ეს თუ მოსაზრება?

მოსაზრება? არა! ასეთი მოსაზრება საბჭოთა მთავრობის რომელიმე ორგანოს არ ექნება. თუ შეცდომაა, მის გამოსწორებისათვის მეტი ყურადღება და სიჩქარეა საჭირო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა ის აფთიაქები, რომლებიც გაცემულია იჯარით სულ შეუერთდეს იმ მეზობელ საბჭოთა აფთიაქებს, რომლებიც მათ ახლავთ მოსამზღვრეთ. ამით სრული დარწმუნებული ვარ ჯანმრთელობის კომისარიატს დიდი ზარალი არ მოუვა და მშრომელ ხალხს თუ სამიოთხი ვერსის მანძილის გავლა მოუხდება ზედმეტი, ეს კიდევ არას ნიშნავს, ვინაიდან ისინი დაიკმაყოფილებენ თავიანთ თავს მით, რაც საჭირო არის და მოტყუებულნი მაინც არ დარჩებიან ისეთი ჩარჩ ფარმაცევტებისაგან, რომლებიც გახლავსთ დღეს მოიჯარადრეები, ან და მოიჯარადრეების აფთიაქებში მყოფი ისეთი პირები, რომლებიც ხალხის ჯანმრთელობის შესახებ ნაკლებად ფიქრობენ.

საჭიროა ამ შეცდომის გამოსწორება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ცენტრმა ჯერ კიდევ კარგად არ იცის ის მდგომარეობა, რომელიც შექმნილია იჯარით გაცემულ აფთიაქებში სოფლად. ხალხის ჯანმრთელობა საფრთხეშია ჩავარდნილი, მოიჯარადრენი არ იმყოფებიან ფრთხილი კონტროლის ქვეშ, არ არის საჭირო მარაგი წამლებისა, ყურადღება არ ექცევა ავადმყოფის შემოწმებას ექიმებისაგან და ფარმაცევტი აძლევს აფთიაქიდან წამალს „მუშტარს“. არავინ იცის ავადმყოფის სენის ხარისხი და არც თვით სენის სახე. ადგილი აქვს წამლების ფალსიფიკაციას და სხვა და სხ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

თუ ჯანმრთელობის კომისარიატისათვის აუცილებელია საათფთიაქო ტვირთის შემსუბუქება, [illegible] შეინახავს საათფთიაქო პერსონალს საქართველოს მაშტაბით, იმ შემთხვევაში [illegible] მოხდეს აფთიაქთა რიცხვის შემცირება, მახლობელ აფთიაქების შემჭიდროება და მათი თავის სიმაღლეზე დაყენება. ამას მოითხოვს ხალხის ჯანმრთელობის ინტერესი. ამისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ ნაბიჯების გადადგმა.

ფუკოლ ამაღლობელი.

რუსთაველის თეატრში. თებერვლის 6-ს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პ. იაშვილის მიერ ნათარგმნი ოსკარ უაილდის „სალომე“. იმავე დღეს წარმოდგენილი იქნება ს. შანშიაშვილის ახალი ორიგინალური ერთ მოქმედებიანი პიესა „როდამი“. პიესებს სდგამს ალ. ახმეტელი. „სალომეს“ როლები განაწილებულია შემდეგ ნაირად: სალომე—თ. ჭავჭავაძე, ჰეროდე—აკ. ვასაძე, ჰეროდეა—ნ. დავითაშვილი, წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს აკაკი ფალავას სტუდია.

—

„ლონდა“. რეჟისორი კ. მარჯანიშვილი ორი თვეა ამზადებს გრიგოლ რობაქიძის პიესას „ლონდას“, რომელიც წარმოდგენილი იქნება თებერვლის 13-ს. ეს პიესა გასულ წლის სეზონში რამოდენიმეჯერ დასდგა რუსულმა დასმა. ავტორმა პიესა შეავსო და მისი უახლოესი თანამშრომლობით ამზადებს მას რეჟისორი. იმავე საღამოს მარჯანიშვილის მიერ დადგმული იქნება შარლ-სან-ლერბერგის ტრაგედია „ელისფერი ობობა“ პ. იაშვილის თარგმანით.

—

თეატრის რეპერტუარი. აკადემიური დრამის მიერ გამომუშავებულია უახლოესი რეპერტუარი: „ჭირვეულის მორჯულება“, „ოტელო“ და „მაკბეტი“ შექსპირის. „პადუას ჰერცოგი“. ოსკარ უაილდის და სხვა.

—

„ხინათლე“. დღეს, კვირას, სახელმწიფო დრამის თეატრში ამ სეზონში უკანასკნელად წარმოდგენილი იქნება **ი. გედევანიშვილის** ცნობილი პიესა: **„ხინათლე“**.

ხელოვანთა სასახლე. პირველი ლიტერატურული პარასკეობა ფუტურისტებისა პარასკევი 2 თებერვალი. დეკლარაცია. მანიფესტი. როშკები. „ფორმულა შებრუნებითი შემოქმედებისა“. აკაკი ბელიაშვილი. ირაკლი გამრეკელი. ბენო გორდეზიანი. ნიკოლო თავდგირიძე. პოლ ნოზაძე. ბესო ჟღენტი. ნიკოლოზ შენგელაია. სიმონ ჩიქოვანი. საღამო 8 საათი

—

გაზეთი „რუბიკონი“. გამოვიდა სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის გაზეთ „რუბიკონის“ მეორე ნომერი, შემდეგი შინაარსით: პავლე ინგოროყვა — ტფილისის უნივერსიტეტი, ტიციან ტაბიძე სტუდენტობის ტრადიცია, ვალ. გაფრინდაშვილი—პოეზია და ბუნება, შ. აფხაიძე—ახლობელი პორტრეტები, ვ. კოტეტიშვილი—მუნჯი ინკვიზიტორი, პაოლო იაშვილი—საფრანგეთის პოეტები—ბოდლერის და რამბოს თარგმანები, რაჟდენ გვეტაძე—ქეთევან, გრიგოლ ცეცხლაძე—კვიმატი დღეები, პარიზის უნივერსიტეტის დაარსება—ლანგლუასი და საქართველოს და უცხოეთის ქრონიკა.

—

ახალი მწერლობის კავშირში. კვირას, 28 იანვარს, ხელოვნების სასახლეში (სერგ. ქ. № 13) გაიმართება სრულ. საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის მორიგი საჯარო სხდომა. **გრიგოლ რობაქიძე** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ვასილი როზანოვ“. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. შესასვლელი ფასი 30,000 მან.

მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი

დადგენილება № 71.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. იანვრის „25“

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს 1922 წ. 30 დეკემბრის დადგენილება № 70-ის საყოველთაო ცნობად გამოცხადების და აღსრულებისათვის.

ამასთანავე ცხადდება საყოველთაო ცნობად და აღსასრულებლად ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს 1922 წ. 30 დეკემბრის დადგენილება № 70.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს მდივანი ალ. **სვანიძე.**

—

დადგენილება № 70

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოსი.

1922 წ. დეკემბრის 30.

1. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ 1922 წლ. 30 დეკემბერს დამტკიცებული რ. ს. ფ. ს. რ. შრომის კანონის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამიერ-კავკასიის მთელ ტერიტორიაზე, უქმდება შრომის შესახებ წინეთ გამოცემული ყველა დადგენილებანი, რომელიც ეწინააღმდეგება შრომის კანონთა კოდექსს.

2. შრომის სახალხო კომისარიატს ევალება დაუყონებლივ წარმოუდგინოს გამოსაქვეყნებლად საკავშირო საბჭოს შრომის კანონ-დებულებათა ნუსხა, რომელიც დარჩა ძალაში შრომის კანონთა კოდექსის ძალაში შესვლისას.

ამ.-კავ. სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ელიავა.**

ამ.-კავ. სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს მდივნის მოადგილე

ორლოვ-მალახოვი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია აცხადებს გადამხდელთა საყურადღებოდ

რომ იმ პირებს რომელთაც აღნიშნულ ვადისთვის არ გადიუხდიათ გადასახადი, ვადის გასვლის გამო, 26 იანვრიდან ვიდრე 31-დე იხდიან საურავს 50 კ. შემტანი იხდის 160.000 მან.; 1 მან.—315.000 მან.; 1 მ. 50 კ.—470.000 მან. და 3 მან. 940.000 მან. 1923 წ. 1 თებერვლიდან იხდიან გაორკეცებულ გადასახადს. მუშა-მოსამსახურენი (პროფ-კავშირის წევრნი) საურავ გადასახადისგან თავისუფლდებიან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიცემულ მოწმობებზე ნაჩვენები იქმნება, რომ დეკემბრის კუთვნილი ჯამაგირი არ მიუღიათ 1923 წ. 25 იანვრამდე ჩარიცხვით.

იმ პირებს, რომელნიც თავისუფლდებიან საურავ გადასახადისგან, გადასახადი შეაქვთ ცენტრალურ სამისამართო მაგიდაში (შტაბის № 2).

პირადობის და სათანადო პროფკავშირის მოწმობების წარდგენის შემდეგ.

№ 282 1—1

ქალ. ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 1-ლ თებერვალს 1923 წ. შუადღის 12 საათზე

აღმასკომის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სასტუმრო „აპოლოზე“.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში საიჯარო მაგიდის გამგესთან, ოთახი № 50. 280 3—3

ტირაჟი 900
საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.